საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 299 2018 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

გენადი არველაძეს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, მომლაპარაკებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მანვე უზრუნველყოს „კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და წარმართვა;

ალექსანდრე ხვთისიაშვილს – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი;

ლევან წურწუმიას – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

ნინო ქაჯაიას – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;

მარიამ გოცირიძეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;

მანანა ტეტელოშვილს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

მამუკა ბახტაძე